სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 84

2015 წლის 16 ივნისი

ქ. თბილისი

"2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 05 ივნისის №74 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება "2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2015 წლის 5 ივნისის №74 ბრძანების დანართის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში და კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო დოკუმენდაციის ფონდში ონლაინ წარდგენა პირველი ნაკადისათვის შესაძლებელია არა უგვიანეს 2015 წლის 17 ივნისის 20:00 სთ-სა - 2015 წლის 1 ივლისიდან - 31 ოქტომბრის ჩათვლით დაგეგმილი ღონისძიებებისათვის.
2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი